# ცნობის ფურცელი

№ 1966 | კვირა, 27 ოქტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გაზეთი | № 1966

**გაზეთის ფასი**: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.


**ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-64 №-რი**

გაზ. „ცნობის ფურცელი“ ყველა ტფილისელ გამყიდავებთან ღირს ცალკე ნომერი **3** კაპ. და სურათებიანი დამატებით-კი **5** კაპ.

გაზეთები იყიდება აგრეთვე **ქუთაისში** ვ. ბეჟანიშვილის და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგ. წიგნების მაღაზიებში.

## „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

## სურათებიანი დამატება
### გამოვა კვირაში ორჯერ

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ   დ ა   კ ვ ი რ ა ო ბ ი თ.

**ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.**

ჟურნალ „მოამბის“ ხელის მომწერთ „ცნობის ფურცელი“ გაეგზავნებათ ორივე დამატებით.

**„მოამბეს“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.**

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწეროს **გვარი, სახელი, მამისახელი და ქალაქის სახელი**, ამასთანავე გარკვევით დასწეროს. რომელი გამოცემა ჰსურს, „ცნობის ფურცელი“ „მოამბე“ თუ მარტო „ცნობის ფურცელი“, ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე** „Verite“.

მეხუთე ნაწილში, სიონის და ირაკლიევის ქუჩის კუთხეში, ჩითახოვის ნასახლარში

## გაიღო ახალი აფთეაქი
## ვ. ქ. პრეისბერგისა

(3—1) ტელეფონი № 509.

ე ქ ი მ ი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

წარმოდგენა 9. ტელეფონი 617

## ქართული თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს 1902 წ.

✡ **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა ✡

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

**წარმოდგენილი იქნება**

ს ა დ ა მ ო თ ი

**დაკვლევილის დასვენით**

### მაღლა აღმართისა ხნავს

კომედია 4 მოქმედებად.

**მონაწილეობას იღებენ**: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი; ბ-ნნი: ვ. გუნია ი. ივანიძე, კ. შათირიშვილი, ყალაბეგაშვილი.

**ადგილების ფასი**: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 1 მ. 50 კ. ამფითეატრი 60 კ.-დან 80 კ-დე, გალერეა 20 კ-დან 35 კ-მდე. შეგირდებისთვის ადგილები 40 კაპ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი“ (ექიმი შტოკმანი).

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კ ბ ი ლ ი ს   ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

## ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

## ტფილისის
## კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

**მ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**მ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. ქამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ქ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი**, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ზ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ზრ. მ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

**ტელეფონი № 274.** (წლ).

**კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა**

## „შრომა“

ჰყიდის ხე ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან. მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—18)

## დიდუბეში

ელისაბედის ქუჩაზე, ჯანაშვილის სახლში (№ 60) გაიხსნა

### მ ო დ ნ ი   ს ა მ კ ე რ ვ ა ლ ო,

სადაც მიიღება ყოველნაირი საქმეები. აგრეთვე ვღებულობთ შაგირდებს.

(1—1) **მარო ხოფრობის ასული დოლიძე**

**მსურს ვთარგმნო**

„Школьные товарищи“ თხზულება Эдмонда Д. Амичиса; თუ ვისმეს დაწყებული აქვს, გსთხოვ ამავე გაზეთის საშუალებით მაცნობოს.

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოების რეფორმის გამო

უკანასკნელ დროს ტფილისში ბევრს ლაპარაკობენ მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების შესახებ. საკამათო და საბაასო საგნად გახდა საზოგადოების რეფორმა, რომელიც განიზრახეს ამ საზოგადოების ზოგიერთმა წევრებმა.

ჩვენმა მკითხველებმა კიდეც იციან, რაშია საქმე. დღემდე საზოგადოების ნამდვილ წევრებად იყვნენ მასწავლებელი და აღმზრდელი ქალები, რომელთა საგანი იყო— ურთიერთთა ნივთიერი (უმთავრესად) დახმარება. დღეს-კი განიზრახეს საზოგადოების წევრების გამრავლება მასწავლებელ და აღმზრდელ კაცთა მიღებით და საზოგადოების საგნის გაფართოვება წევრთა საურთიერთო დახმარებით ნივთიერადა და გონებრივად.

როგორც ჰხედავთ, ქალებს კარგი საქმე განუზრახავთ და თანაგრძნობის მეტი რა უნდა მოეპოვათ, მაგრამ, მოულოდნელად, მათ განზრახვას მოწინაალმდეგენიც აღმოუჩნდნენ. ძნელია იმის გაგება, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ მოწინაალმდეგენი! მათის წარმოდგენით, ქალები უთუოდ განცალკავებით უნდა მუშაობდნენ, თორემ საზოგადოების საგანს ვერ მიაღწევენ; კაცებისათვის ნივთიერის დახმარების აღმოჩენა დაასუსტებს საზოგადოებას; გონებრივ დახმარებას ქალები ვერ გაუწევენ სოფლის მასწავლებელთ; ქალებისაგან ახალის საქმის დაწყება დაქსაქსავს იმათ ძალას და ენერგიას დაუკარგავს, და სხვა. გარდა ამისა, ზოგიერთი მოწინაალმდეგენი იმასაც გაიძახიან, რომ სოფლის მასწავლებელნი მხოლოდ ნივთიერ შემწეობის მისაღებად ჩაეწერებიან საზოგადოებაში, აიღებენ ფულს და შემდეგ თავს დაუკრავენ და განშორდებიანო.

თვით ამ მოტივების სისუსტე და უვარგისობა ამტკიცებს, რომ ქალებს სასარგებლო რეფორმა განუზრახავთ. მართლაც, თუ წარმოვიდგენთ საქმეთა მდგომარეობას, ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ განზრახული რეფორმა მეტად საჭიროა. მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, რომ სოფლის მასწავლებელი დღეს ღვთის ანაბარაა მიტოვებული. მას უმძიმესი და უსაჭიროესი საქმე აწევს კისერზე, დახმარება კი არც ქონებრივი, არც ზნეობრივი, არც გონებრივი არსაიდან მოსდის. შევიწროებული ნივთიერად, მოკლებული ინტელიგენტ საზოგადოებას, წიგნსა და დამრიგებელს, სოფლის მასწავლებელი მალე ივიწყებს იმასაც, რაც იცოდა, ჰკარგავს ენერგიას და, რასაკვირველია, სარგებლობაც აღარ მოაქვს მის ტანჯულ მოღვაწეობას. აი ამ მასწავლებელს ხელს აწვდიან დღეს უფრო განვითარებულნი და უკეთეს პირობებში მყოფი მოძმენი—ქალაქის მასწავლებელნი ქალნი და კაცნი და ვის შეუძლია სთქვას, რომ ეს უნაყოფო საქმე იქნება, რომ მასწავლებელთა შეკავშირება სარგებლობას არ მოუტანს მივიწყებულსა და უპატრონოდ მიტოვებულს სოფლის მასწავლებელთ?! მეორეს მხრით, ვინ დაიჯერებს, ვითომც საზოგადოების გაფართოვება ქალებს ავნებს? პირიქით, დიდი საქმე, რომელიც საზოგადოებას მოელის რეფორმის შემდეგ, განახორციელებს მის მოქმედებას, საზოგადოებას შემატებს ცოცხალ ელემენტებს და გულწრფელ მოღვაწეთ გაუძლიერებს ენერგიას.

რეფორმის მომხრენი აპირებენ ამრიგად დაეხმარონ სოფლის მასწავლებელთ: გაჭირვების დროს ნივთიერი შემწეობა მისცენ ცალკე, წელიწადში რამდენჯერმე სხვა-და-სხვა ცენტრალურ ალაგას (სამაზრო ქალაქებში) საჯარო ლექციები წაიკითხონ, უგზავნონ პატარ-პატარა ბიბლიოთეკები კარგად არჩეულის წიგნებით და სხვა. ნუთუ საეჭვოა, რომ ასეთი დახმარება დიდად სასარგებლო იქნება ჩვენებურ სოფლის მასწავლებლისათვის და ნუთუ ცილისწამება არ იქნება ვსთქვათ, რომ ეს მასწავლებელნი მხოლოდ შემწეობას აიღებენ და უარჰყოფენ ზნეობრივსა და გონებრივს კავშირს?! რეფორმის მომხრენი, სხვათა შორის, წერილებით შეჰკითხებიან სოფლის მასწავლებელთ და მრავალი გრძნობით სავსე და თანაგრძნობის საპასუხო წერილები მოსვლიათ; აი ეს წერილები იყოს იმათი პასუხი, ვინც ჰბედავს და ცილსა სწამებს სოფლის მასწავლებელს!..

ჩვენის აზრით, განზრახული რეფორმა წინ წასწევს საზოგადოებას, მოუპოვებს მას უფრო მეტს თანაგრძნობას საზოგადოებაში და მით ნივთიერადაც უფრო გაალონიერებს. ამას სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გარდა გვიმტკიცებს რუსეთში არსებულ ამგვარ საზოგადოებათა მაგალითიც: იქ ბევრგან ერთად მუშაობენ ორთავე სქესის მასწავლებელნი და ურთიერთ დახმარების საქმე ბევრად უფრო კარგათ მოუწყვიათ, ვიდრე განცალკევებულ საზოგადოებებში. ამიტომ სულითა და გულით თანავუგრძნობთ ტფილისის საზოგადოების გადაკეთების ინიციატორთ და ვუსურვებთ მათ გამარჯვებას; ხოლო ამ საზოგადოების ქართველ წევრთ ვიწვევთ ყურს ნუ უგდებენ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას და მხარი დაუჭირონ მათ, ვისაც განუზრახავს ზნეობრივი, გონებრივი და ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს ლაბეჩავებულ სოფლის მასწავლებელთ, მით უმეტეს, რომ ტფილისის გუბერნიაში უმრავლესობას ქართველი მასწავლებელნი შეადგენენ.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი
### სოფლის საჭიროებათა შესახებ
### VII

**ორიოდე სიტყვა ქიზიყის გლეხობის მდგომარეობაზე**

ქიზიყელ გლეხის კეთილდღეობა იმის მიწის რაოდენობაზე არის დამოკიდებული. ნამდვილი ქიზიყი, რომელიც მხედველობაში გვაქვს, შესდგება სულ ცამეტ-თოთხმეტი მრავალ რიცხოვან სოფლისაგან. ამ სოფლების მკვიდრნი გლეხნი ხვნა-თესვას და საქონლის მოვლა-მოშენებას მისდევენ. სთესენ პურს, ქერს, ფეტვს და ცოტა სიმინდს. აშენებენ ცხენებს, ხარ-კამეჩს ცხვარს და ცოტა ღორს. სხვა კულტურულ მცენარის გაშენებას, ან სხვა გვარ საქონლის მოვლა-მოშენებას, რომელნიც მეტს ცოდნას, ფულს და მუშა ხელს თხოულობენ (თუ სახეში არ მივიღებთ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთა სოფლებში ფეხ ადგმულ მეთამბაქოებს), ხალხი არ ეტანება. მეურნეობას ძალიან ბევრი მიწა სჭირია, მით უმეტეს, რომ აქ ისევე ხვნენ და სთესვენ და საქონელს ისევე

უვლიან, როგორც უწინ, ასის წლის წინად. უწინ ქიზიყელი გლეხი არ იყო მიწის მხრივ თავის ბედის მომდურავი: აუარებელი სახნავ-სათესი და თვალ-გადუწდომელი სათიბ-საძოვარი ჰქონდა. ესეც ბევრს ხნავდა და დიდძალ საქონელს ინახავდა. თანდათან მიწა შემცირდა და იმასთან ერთად საქონელმაც იკლო და ხვნა თესვამაც.

მიწის შემცირებას ხელი შეუწყო ერთის მხრივ, ხალხის გამრავლებამ, მეორეს—სახელმწიფო საიჯარადრო მამულების გამრავლებამ, რომელნიც წარმოსდგნენ გლეხების ჩამონართმევ მიწებისაგან და მესამეს—სხვადა-სხვა ადგილებიდან აქ ხალხის ჩასახლებამ. ჯერ ამ ხელად სამი რუსის სოფელია ჩასახლებული ქიზიყში, და ამ სოფლებს საუკეთესო ადგილ-მამულები უჭირავთ; ამასთან 1895 წელს დაიწყო ქიზიყში გამიჯვნა და დღემდე გლეხებში დარეულნი აზნაურნი და სასულიერო წოდების პირნი გამოეყვნენ გლეხობას და თავის საკუთრებად გამოიმიჯნეს ბლომა და სანაქებო ნოყიერი მიწები. ბევრი ამ ახლად მოვლენილ მიწით-მფლობელთაგანი გამიჯვნამდეს თუ ორი და სამი დესეტინა მიწის მეტს არა ხმარობდა, ახლა არა ნაკლებ 60 დესეტინისა ჩაიმიჯნა. ამ გარემოებამ საკმაო გავლენა იქონია გლეხობაზე. მართალია, დღეს ამ თავისუფალ ხალხს ხაზინა ედავება, მაგრამ აქედან გლეხობას არა მიეცხობა-რა, ერთი გაიმარჯვებს, თუ მეორე. ამ რიგად ქიზიყში გლეხებს მიწის რაოდენობა შეუმცირდათ და თუ აქამდინ მეტი მიწა ჰქონდა, ახლა სამყოფიც აღარა აქვს. ქიზიყი მიწის რაოდენობით შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად. პირველ ნაწილში კომლეულად, თითო კომლს მოუდის ვარგისი და უვარგისი **რვა დესეტინა** და მეორე ნაწილში კი—**თექვსმეტი დესეტინა** (ამასა და ქვემოდ მოყვანილს სტატისტიკურ ცნობებს ვიღებთ ქვემო მაჩხაანის, ანუ ქიზიყის ბოქაულ თავ. ერისთავის შეგროვილ მასალიდან, რომელიც შეფარდებულია ამ ჩვენს საკუთარ გამოანგარიშებასთან). მამულის დაცოტავებას მოჰყვა საქონლის შემცირება, რომელიც კომლეულად რომ ვიანგარიშოთ, თითო კომლზე მოვა: 1 ნაწილში 3 სული მსხვილი საქონელი და 5 ცხვარი 2 ნაწილში 8 სული მსხვილი საქონელი და 25 ცხვარი. მიწის შემცირებასთან და საქონლის დაცოტავებასთან კი მატულობს კულტურულ მცენარეულობის გავრცელება. 1 ნაწილში კომლზე მოდის 0,38 ვენახი და 0,04 თამბაქო, 2 ნაწილში კომლზე მოდის 0,14 ვენახი და 00,8 თამბაქო.

ქიზიყში დღემდის მომეტებული ნაწილი მიწებისა საერთო მფლობელობაშია, ეს არის კიდევაც დაუშრეტელი მიზეზი ამ ბოლოს წლებში ატეხილ დავიდარაბისა. ჯერ ერთიმფლობელობა მოსწრობასა და შეძლებაზედ იყო: ვინც წინ მივიდოდა და მეტს დაიჭერდა, ის მეტს მოხნავდა და მეორე ამ ერთის წლის წინად ვიღამაც ჩააგონა ხალხს, რომ საზოგადოებას ნება აქვს მიწები დაყოს კომლეულათაო. ამითი ისარგებლეს უმამულო და უსაქონლო ხალხმა, დაადგინეს განაჩენი და ჩამოართვეს დიდ მეიჯარეთ ის მამულები, რომელიც დღემდინ საკუთრებათ ითვლებოდა, საერთო მამულებში აღარ გაუშვეს და ისინიც სხვა გარეშე მწყემსებზედ გააქირავეს. აქ ცოტა უნდა შევჩერდეთ ქიზიყელების საკუთრებაზედ. ქიზიყში სოფელ გარეშე მამულები საერთო მფლობელობაში იყო და არის დღესაც, მხოლოდ სოფელში და სოფლის ახლო შვიდი-რვა ვერსის მანძილზედ უხსოვარ დროიდან საკუთრებად ითვლებოდა, ამას აქ „მამის“ და „საბლის“ მამულებს ეძახიან. აი ამ მამეულს და საბლის მამულს ყველა გლეხი ისე ხმარობდა და მფლობელობდა, როგორც საკუთრებას—გაჰყიდდა, დააგირავებდა და გააჩუქებდა კიდევაც. ამ მამულებს სყიდვით თუ გაცვლა გამოცვლით იძენდნენ უფრო შეძლებულნი გლეხნი და უმატებდნენ თავიანთ მამულს და აბევრებდნენ. ასეთი მამულის სიდიდით ფასდებოდა გლეხის ოჯახი და სხვა ქონებასთან ერთად სძენდა მას შეძლებულ გლეხის სახელს. ახლა კი ახალ განკარგულებით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, შეუძლებელთ და უსაქონლოთ ჩამოაცალეს ეს მამულები პატრონთ, ან ისე დაუყვეს, რომ სულ აღარა ღირს მისი ხვნა; სხვა ამის მაგიერ არსად მისცეს, საერთო სათემოშიაც აღარ გაუშვეს და გარეშე პირებზე გააქირავეს. ამ რიგად ქიზიყლებს აღარა აქვთ სახნავი და საძოვარი მიწები.

ამავე დროს-კი სახელმწიფო მიწებს გადასახადი მოემატა. თვითეულ კომლს ორთა შუა რიცხვით შეხვდება 16—20 მანეთამდე. სხვა გადასახადი კომლზე მოდის:

| | | |
|---|---|---|
| სასოფლო ქსენობისა | 1 მ. | (ზოგან 50 მ.) |
| ტყის ყარაულებისა . | — „ | 28 კაპ. |
| ტყის ფული 10% | | |
| სახელმწიფო ტყიდან სარგებლობისათვის . . | — „ | 30 კაპ. |
| სოფლის მოხელეების ხარჯი . . . . . | 1 „ | — „ |
| მინდვრებისა, ვენახისა და სხვა მცველებისა. | 1 „ | 30 „ |
| მღვდლისა . . . . | 3 „ | 50 „ |
| სკოლისა . . . . . | — „ | 30 „ |
| სულ . . | 7 მ. | 88 კაპ. |

ახლა ამას უნდა ჩაურთოთ ის ხარჯი, რომელსაც იხდის ქიზიყელი გლეხი თავის ჩვეულებისა და ძვალსა და რბილში გამჯდარ ადათისა გამო, რომელიც კომლზე მოვა.

| | შეძლებ. ოჯახი, | საშ. შეძლ, | ღარიბი |
|---|---|---|---|
| დღეობა . . | 80 მან. | 35 მან. | 15 მან. |
| ქორწილი . . | 360 მან. | 180 მან. | 90 მან. |
| სადღესასწაულო წასვლა, კურატი და მკითხავი . . . . | 50 მან. | 30 მან. | 15 მან. |
| ქელეხი . . . | 150 მან. | 100 მან. | 50 მან. |
| სულის ახსნა, წირვა და ტაბლები . . . | 70 მან. | 40 მან. | 20 მან. |
| სულ . . | 650 მან. | 325 მან. | 190 მან. |

(დასასრული იქნება.)

# საზღვარ-გარედ

**მაკედონია.** სტამბოლიდან იუწყებიან: ოსმალეთის მთავრობამ მაკედონიაში 25 ბატალიონი ქვეითა ჯარი და 5 ბატარეია გაჰგზავნა. ჯარს იბრაჰიმ-ფაშა უფროსობს. 2 ოქტომბერს იბრაჰიმ-ფაშამ სერესის ოლქისაკენ გაილაშქრა და მაკედონელების რაზმები ზოგი ბოლგარიის საზღვარს იქით განდევნა, ზოგი გაჰფანტაო. აქა-იქ-ღა დარჩა პატარ-პატარა რაზმები. ამ ჟამად იბრაჰიმ-ფაშა ამ წვრილ რაზმებს სდევნის. ასე ირწმუნება ოსმალეთის მთავრობა, მაგრამ ნამდვილად კი საქმე ასე როდი ყოფილა. თითონ ოსმალეთის მთავრობა იუწყება, რომ ვინიცასთან და პეტრიჩასთან ჩვენ ჯარს ბრძოლა მოუვიდა მაკედონელებთანაო. სტამბოლიდან ამბავი მოვიდა, რომ იქ დაჭრილი ოსმალოს ჯარის-კაცები და ტყვე-მაკედონელები მიიყვანეს. ამათში ერთი მღვდელიც ურევია.

**ინგლისი.** ამ ბოლო დროს ინგლისში ნამდვილი ომი გამოუცხადეს ყოველ-გვარ კოოპერაციებსა და ამხანაგობებს. კაპიტალისტები ტრედ-უნიონიზმის განადგურებას სცდილობენ. „ტაიმს“-მა ხომ ნამდვილი ომი გამოუცხადა ეგრედ წოდებულს „მუნიციპალურ სოციალიზმს“. ბოლოს გამოჩნდა, რომ „ტაიმს“-ის პირით ერთი მძლავრი ელექტრონის ტრესტი ლაპარაკობდა. ტრესტი ქალაქის საბჭოების კონკურენციის დათრგუნვას სცდილობს. ჩრდილოეთ ინგლისში მედუქნეებმა ბრძოლა აუტეხეს კოოპერაციებს. ლანკაშირის საგრაფოში მედუქნეებმა კავშირი შეჰკრეს იმ აზრით, რომ ადგილობრივ კოოპერაციებს ბოიკოტი გამოუცხადონ. მედუქნეების ლიგის წესდებაში ნათქვამია: ჩვენ ლიგას სწადიან ყოველ კერძო კაცის ინტერესები დაიცვას და კერძო მოვაჭრეებს ხელი შეუწყოს, რომ ვაჭრობა და ეროვნული სიმდიდრე გააძლიერონ. ჯერ-ჯერობით ლიგამ იმით ისახელა თავი, კოოპერაციების წევრებს სამუშაო აღარ მისცა და ზოგი კიდევ სადგომიდანაც დაითხოვა. სენ-ხელენსში ყველა მუშა ქალები, რომლებიც კოოპერატიულ საზოგადოების წევრებად ირიცხებიან, დაითხოვა. ლიგის წევრები იქამდე მივიდნენ, რომ ერთს გაზეთში ამნაირი განცხადება დაბეჭდეს: „მოსამსახურე ქალს ეძებენ. კოოპერაციის წევრის ქალი-შვილს კი არას დროს არ მივიღებთ.“ მეორე განცხადებაც ამაზე ნაკლებ საინტერესო არ იყო. სენ-ხელენსში ერთი დიდი ფირმა 50 მოსამსახურისათვის სადგომს დაეძებს. ჭამა-სმაც სახლის პატრონისა უნდა იყვეს. იმ დიასახლისების სადგომებს, რომლებიც კოოპერაციულ დუქნებში ყიდულობენ რასმე, არ იქირავებენ. ლიდსა და გულშიაც დაიწყო ბრძოლა მედუქნეებსა და კოოპერაციულ საზოგადოებებს შუა. ჩრდილოეთ ინგლისის კოოპერაციულ საზოგადოებებმა თითონაც დააარსეს „დამცველი ლიგა“ და „ბრძოლის კომიტეტიც“ აირჩიეს. კომიტეტმა მთელ ინგლისის კოოპერაციებს მიჰმართა თხოვნით „ბრძოლისათვის“ 100 ათასი გირ. სტ. გვასესხეთო. „ნარდად მოვაჭრე კოოპერატიულმა საზოგადოებამ მაშინვე 50 ათასი გ. სტ. ასესხა. ბოლტონის საზოგადოებამ, 1 ათასი გ. სტ. და სხვ. და ბრძოლისათვის საჭირო ფული ეხლა სრულიად შეიკრიბა“.

**შეერთებული შტატები.** ინგლისურ გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი დაბეჭდილია პრეზიდენტ რუზველტის დიდი წერილი. ეს წერილი რუზველტს იმ დროს დაუწერია, როცა ჯერ პრეზიდენტად არ იყო არჩეული. წერილში შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მოვალეობასა და პასუხის გებაზეა ლაპარაკი. რუზველტი ამტკიცებს ამ წერილში, რომ მთელს ქვეყნიერობაზე არც ერთის მთავრობის მეთაურს არა აქვს ისეთი დიდი ძალა და უფლება, როგორც შეერთებულ შტატებისასაო.

**საფრანგეთი.** ზოლას ძეგლისათვის სულ ორ-სამ კვირაში 50 ათასი ფრანკი ფული შეუკრებიათ. კიდევაც ჰკრებენ ფულს. „ადამიანის უფლებათა დამცველ ლიგას“ და გაზ. „ორორ“-ის რედაქციას დღესაც მრავალი შემოწირულება მოსდით ქვეყნიერობის ყოველის კუთხიდან. როცა ძეგლის დამდგმელი კომიტეტი ოფიციალურად დაარსდება, უეჭველად ამდენი კიდევ შეიკრიბება. დიდი პატივი სცა საზოგადოებამ ზოლას ღვაწლსა და ნიჭს.

ჯერ-ჯერობით ზოლას მეგობრები იკრიბებიან და მოლაპარაკებას ჰმართავენ, თუ ვინ აირჩიონ კომიტეტის წევრებად. ცნობილ კომპოზიტორის ალფრედ ბრიუნოს დაბრუნებას. ბრიუნო ეხლა პროვინციაში იმყოფება და ბორდოსა და ნანტში თავის ოპერებსა სდგამს. ლიბრეტო ამ ოპერებისათვის ზოლას დაუწერია. რაც ამ წარმოდგენებისაგან ფული შემოვა, ზოლას ძეგლს მოჰხმარდება. ბრიუნომ მისწერა ზოლას ქვრივს, რომ ნანტში დიდს პატივსა სცემენ ზოლას სახელსაო. ერთმა ზოლას თაყვანის მცემელმა წინადადება მისცა ქალაქ ნანტის საბჭოს, რომ ქალაქის დიდს მოედანს სახელი გამოუცვალოთ და ემილ ზოლას მოედანი დავარქვათო, „რომ ეს დიდებული სახელი ნიადაგ ისმოდეს ქალაქ ნანტშიო“. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და მოედანს სახელად ემილ ზოლას მოედანი დაარქვა.

ნანტის გარდა, სხვაგანაც დიდს პატივის ცემას უცხადებენ ზოლას სახელს. ქვეყნიერების ყოველის კუთხიდან დღემდე მრავალი წერილი, ადრესი და მუნიციპალიტეტების დადგენილება მოსდის ქ-ნ ზოლას. საზღვარ გარეთიდანაც დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ზოლას ქვრივსა და თაყვანსა სცემენ განსვენებულს დიდებულს მწერალს.

✦ ფრანგულ გაზეთ „გოლუა“-ს თანამშრომელი უკიდურეს ნაციონალისტი და ურიების მტერი გასტონ პოლონე—ჩამომავლობით და სარწმუნოებითაც ურია ყოფილა. ამას წინად პოლონეს კათოლიკეთა სარწმუნოება მიუღია და მონათლულა. ნითლობას მრავალი გამოჩენილი ნაციონალისტი დასწრებია: ფრანსუა კოპე, ჟიულ ლემეტრი, გენერალ ბუადეფრი, გენერალი გონზი და სხვა. „გოლუა“-ს უფროსი რედაქტორი ბ-ნი არტურ მეიერიც ურია ყოფილა. ამბობენ, ისიც აპირობს მონათვლასაო.

**ბურების საქმე.** ბურების გენერლებმა ბოტამ, დევეტმა და დელარეიმ მოიარეს ჰოლანდია, ბელგია, საფრანგეთი და გერმანია და ისევ ლონდონში დაბრუნდნენ. გენერლები ყველგან დიდის ამბით, პატივის ცემითა და თანაგრძნობით მიიღეს. საფრანგეთში თითონ პირველმა მინისტრმა კომბმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემაც მიიღეს. გერმანიაში იმპერატორმა და მთავრობამ არ მიიღეს გენერლები, სამაგიეროდ გერმანიის ერი გმირ გენერლებს ისე დაუხვდა, როგორც თავიანთ ეროვნულ გმირებს. ფულიც ბევრი შეჰკრიბეს გენერლებმა. მარტო გერმანიაში 1 მილიონ მარკამდე შესწირეს ბურების ქალებისა და ბავშვების სასარგებლოდ.

ეხლა გენერლები ლონდონში არიან. ამბობენ, ბოტა და დელარეი ამერიკაში წავლენ, დევეტი კი სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნდებაო. ხმა დადიოდა, ამერიკაში წასვლამდე, გენერლები ჩემბერლენსა ჰნახვენო.

✦ ბურების სარდლები კრიუცინგერი, ჟუბერი და ფუშეც მოვიდნენ ინგლისში ლექციების წასაკითხად, მაგრამ კემბრიჯში ინგლისელებმა ისე ცუდად მიიღეს, რომ სარდლებმა ლექციების წაკითხვაზე ხელი აიღეს.

✦ სამხრეთ-აფრიკაში 13 ათასი ტყვე ბური დაუბრუნებიათ. ტყვე ბურები კიდევ დარჩენილან: წმ. ელენეს კუნძულზე—200 კაცი, ბერმუდის კუნძულებზე—400, ცეილონზე—2,800, ინდოეთში—6,200. ცეილონიდან და ინდოეთიდან 7000 კაცს წლეულვე დააბრუნებენ, დანარჩენს კი მომავალ წლის დამლევს.

**სომხების საქმე.** ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი სომეხი გადასახლდა; სომხური გაზეთებიც კი გამოდის ამერიკაში. ერთს სომხურს გაზეთს—ქალაქ ბოსტონში გამოდის—წერილით უკითხავს ამერიკელ და ინგლისელ გამოჩენილ მწერლებისა და მოღვაწეებისათვის: ზოგიერთი სომეხი - რევოლიუციონერი ამტკიცებს, რომ სომხებმაც მაკედონელებსათვით აჯანყება უნდა მოახდინონ, ეხლა მარჯვე დროა საამისოდაო. რა აზრისა ხართ ამაზე, გამოვა რამე სომხების აჯანყებიდან, თუ არაო?“

ჯერ-ჯერობით მარტო გამოჩენილ ინგლისელ მწერალსა და მოღაწეს ბრაისს უპასუხნია სომხურ გაზეთისათვის. ბრაისს მცირე აზია და ამიერ კავკასია მოვლილი აქვს, არარატის მთაზედაცასულა და სომხების საქმე კარგად აქვს შესწავლილი. ბრაისს მიუწერია; „ჩემის აზრით, სომხები ტყუილად აჯანყდებიან, აჯანყებიდან სულ ერთია არა გამოვა-რა; მარტო ოსმალოს ხალხს გააბრაზებენო.“

**ავსტრო-უნგრეთი.** ავსტრიის რეიხსრატმა 17 ოქტომბერს ძლივს გაათავა რომანჩუკის ინტერპელიაციის განხილვა.—რომანჩუკი გალიციის სოფლელ მუშების გაფიცვის თაობაზე შეეკითხა მთავრობას.—რეიხსრატმა ერთხმად დაადგინა: მთავრობამ გამოძიება დანიშნოს გაფიცვის თაობაზე და რასაც გამოძიება აღმოაჩენს, პარლამენტს მოჰხსენდესო.

✦ პანგერმანისტებმა გადასწყვიტეს, მთავრობისა და რეიხსრატის თავმჯდომარეს წინადადება მივცეთ, რომ პროექტი ჯარის მომატების შესახებ პარლამენტს აღარ გაახილვინონ, რადგანაც უნგრეთის პარლამენტმაც უარი სთქვა ამ პროექტზედაო. ჩეხებმაც გამოაცხადეს, რომ ჩვენც პროექტის წინააღმდეგები ვართო. გამოცდილ პოლიტიკოსებს მაინც ჰგონიათ, რომ პირველ წაკითხვის დროს პროექტს დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევენ რეიხსტაგშიო.

**გერმანია.** გერმანიის რეიხსტაგი, რაც შეიკრიბა, მას აქეთ სულ საბაჟო ტარიფს არჩევს. ოპოზიცია, მეტადრე სოციალ-დემოკრატები, დიდს წინააღმდეგობას უწევენ ამ პროექტს. მაგრამ არც თუ კონსერვატორები არიან პროექტის მადლიერნი. ოპოზიცია ამტკიცებს, ბაჟების მომატება დაჰღუპავს გერმანიასაო; უმეტესობა, ნამეტნავად აგრარიები ამტკიცებენ, ძლიერ ცოტა ემატება ბაჟებსაო. თუ უმატებთ, ბარემ რიგზე მოუმატეთ, თორემ ეგეთი მომატება არას უშველის საქმესაო. მთავრობა გაჭირვებაშია ჩავარდნილი: ოპოზიციასთან ვერასა ხდება და იმას მაინც ცდილობს, რომ თავის მომხრე აგრარიები მაინც ჭკუაზე მოიყვანოს და ბაჟების მომატებაზე ხელი ააღებინოს. 16 ოქტომბერს იმპერიის ფინანსთა მინისტრს პოსადოვსკის უთქვამს რეიხსტაგში:

„დიდს განსაცდელში ვართ ამ ჟამად. გულწრფელად ვურჩევ უმეტესობის პარტიებს, რომ ახალი მომატება აღარ მოითხოვონ. ამ მოთხოვნის ასრულება შეუძლებელია. რამდენიც კი შეიძლებოდა, ხომ ავასრულეთ კიდეც. გთხოვთ მთავრობის პროექტს დასთანხმდეთ. 1903 წელს დიდს გაჭირვებაში იქნება გერმანიის მრეწველობა. თუ სატამოჟნო ტარიფის პროექტს უარჰყოფთ, ამით ცუდ საქმეს დაჰმართებთ გერმანიის მიწათ-მოქმედებას. უბედურება ისაა, რომ უმეტესობის პარტიები ვერ შეთანხმებულან. თუ საქმე ასე წავიდა, გერმანიის

ერს დიდი განსაცდელი მოელის და რასაკვირველია, არც თითონ უმეტესობის პარტიებს დაეყრებათ კეთილი. და ეს სულ რეიხსტაგის უმეტესობის ბრალი იქნება. ეხლაც მთელი ხალხი აღელვებულია და უკმაყოფილებას აცხადებს. გაფრთხილდით, ცეცხლი არ წაეკიდოს გერმანიას.“

მაგრამ რეიხსტაგის უმეტესობას სულაც არ შეჰშინებია პასადოვსკის მუქარისა. აგრარიებს კათოლიკეთა ცენტრიც ემხრობა და დათმობას სულაც არა ჰფიქრობენ. ამბობენ, მთავრობა რეიხსტაგის დათხოვნას ჰფიქრობსო.

# ახალი ამბავი

◆ სამეურნეო საზოგადოების კრების მინდობილობით ბბ-მა სულთან-კრიმ-გირეიმ და ნატროშვილმა შეადგინეს მოხსენება სახალხო სკოლებში **სამშობლო ენის** სწავლების შესახებ. ეს მოხსენება სიმეურნეო საზოგადოების საბჭოს ხელშია ამ ჟამად.

◆ პირველ ნოემბრისთვის დანიშნულია **კრება** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. ამ კრებაზე განაგრძობენ სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა შესახებ პროგრამის განხილვას.

◆ 25 ოქტომბერს მიმდინარე საქმეების განსახილველად **სხდომა ჰქონდა** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. საბჭოს ლაპარაკი ჰქონდა იმ ადგილის თაობაზე, სადაც დღეს ტფილისის საბალონე სკოლაა. უნდა, რომ ეს ადგილი სამეურნეო საზოგადოებამ დაიმტკიცოს. საბჭომ გადაწყვიტა, მიანდოს კერძო ვექილს გ. ბ. საყვარელიძეს განიხილოს ამ მამულის შესახები საბუთები და თავისი მოსაზრება წარმოუდგინოს საბჭოს. ამავე საღამოს საბჭომ მოისმინა განცხადება საზოგადოების წევრის ბ-ნ ტერგულოვისა იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღოს პირუტყვთა მფარველ საზოგადოების 25 წლის არსებობის დღესასწაულში. საბჭომ დაადგინა მიანდოს ბ-ნთ ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეისა და ა. ა. ქალანთარს მიულოცონ 8 ნოემბერს პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას საიუბილეო დღესასწაული.

◆ „ნოვ. ობოზრ.“ ეს შეუტყვია, რომ საეკკლესიო-სამრევლო სკოლათა ოლქის ზედამხედველი საქართველოს საექსარხოსოისა, **დეკანოზი ი. ვოსტორგოვი** ვარშავას გადაიყვანენ, იქაურ საკათედრო დეკანოზად და მღვდლად მიეცემაო. ამის ადგილს-კი ბაქოს დეკანოზი ა. იუნიცკი დაინიშნებაო.

◆ ჩვენი მხრის რკინის გზების უფროსს **ი. გ. ივანოვსკის** მოელიან აქ 29 ამ თვეს.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინ საბოლოო ცნობები წარუდგინა გუბერნატორს **ხმოსნების არჩევნების შესახებ** და თანაც მოახსენა, რომ 1-ლ ნაწილში ხმოსნად ამორჩეულმა თავ. გ. ნ. დიასამიძემ უარი განაცხადა ხმოსნობაზეო. ამას გარდა, ხმოსნად არჩეულ კ. ს. სარქისოვს უფლება არა ჰქონია არჩევანში მონაწილეობისა, ამიტომ ისიც ხმოსანთა რიცხვიდან უნდა ამოირიცხოსო. ამ ორის მაგიერ ხმოსნებად უნდა ჩაირიცხნენ კანდიდატებად არჩეულნი ფ. კ. ჰეინი და ვ. ა. სარაჯიშვილიო.

◆ პარასკევისათვის დანიშნული **ტფ. სათათბიროს სხდომა** არ შესდგა, რადგან ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა.

◆ სწავლა-განათლების სამინისტროს ნება დაურთავს ქალაქისათვის, ერთ-ერთს თავისს სკოლას რუსის პოეტის **ჟუკოვსკის სახელი უწოდოს** და ამ პოეტის სურათიც დაჰკიდოს იმ სკოლაში.

◆ გუბერნატორს მოუთხოვნია ქალაქის მოურავის მოადგილისაგან, ჩქარა წარმოგვიდგინეთ ცნობები **ნაძალადევში მცხოვრებთა** საჩივრის გამო ადგილების შესყიდვის შესახებაო.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია **შემწეობა მიეცეთ** კავკასიის ქალაქებს ჯარებისათვის სადგომების დასაქირავებლად სულ 18 ათასი მანეთი; აქედან ახალციხეს 1500 მანეთი და სიღნაღს—500 მანეთი.

◆ დღეისთვის ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია **კრება** მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებისა. ამ კრებაზედ საბოლოოდ უნდა განიხილონ ქ-ნ ლოიკოს მოხსენება წესდების ვრცელის შესახებ.

◆ იმ დეპეშის პასუხად, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა უგანთ. თავ. პ. ა. გრუზინსკიმ 10 წლის მოღვაწეობის დღესასწაული მიულოცა სამეურნეო საზოგადოების სახელით ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნ კოვალენსკის, ამ დღეებში მისგან გრუზინსკიმ მიიღო შემდეგი წერილი: „უმდაბლესად გთხოვთ მიიღოთ და გადასცეთ ჩემი გულითადი მადლობა სამეურნეო საზოგადოების წევრებს. გისურვებთ თქვენ დიდ ხანს სიცოცხლეს და კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წარმატებას სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის სასარგებლოდაო.

◆ განზრახვა ჰქონდათ, კავკასიის გზათა საოლქოს შტატების შეცვლისა, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ეს საქმე სხვა დროისათვის გადაუდვიათ.

◆ გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება **ვერაზე და ავლაბარში ხორცის დუქნების დასაარსებლად** 30,000 მანეთის გადადების შესახებ.

◆ დღეს, 27 ოქტომბერს, საღამოთი ქართული ტ"ამატიული დასი წარმოადგენს ორ პიესას: კომედიას „ძალა აღმართსა ხნავს“ და ვოდევილს „არივ-დარია“-ს. მონაწილეობას იღებენ გაბუნია-ცაგარლისა, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი და სხვანი. წარმოდგენა იაფ-ფასიანია.

◆ ახალციხის ქალაქის მამასახლისს უთხოვნია გუბერნატორისათვის, განკარგულება მოახდინეთ **მკვლეხური ურმები** ახალციხის ქუჩებში ნუ ივლიან, რადგან ძლიერ აფუჭებენ ამ ქუჩებსაო.

◆ სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული საქმე თავ. კონსტანტინე დადიანისა და გვაჯა ჩიქოვანისა გადაიდო 7 ნოემბრისთვის.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის სამოსამართლო პალატამ გარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების იულონ პაჭუღიასა და მეტო წულეისურისა, რომელთაც უჩხადობა ჰბრალდებოდათ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს უდანაშაულოდ უცვნია ბრალდებულნი. ოლქის სასამართლოს განაჩენზე პროტესტი გამოუცხადებია ბრალმდებელს. პალატამ უყურადღებოდ დასტოვა ბრალმდებლის პროტესტი და დაამტკიცა სასამართლოს გადაწყვეტილება.

◆ გუშინ კავკასიის საბებიო ინსტიტუტის დირექტორმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა ის 600 მან., რომელიც ქალაქისაგან ყოველ წლიურ შემწეობად აქვს დანიშნული სკოლას.

◆ სამტრედიის სადგურზე რკინის გზის შენობათა ზედამხედველის ბ-ნ დვარჟეცკისათვის, 24 ოქტომბერს ღამით, ფანჯარიდან ვიღაცას თოფი უსროლია. როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს სწერენ, ბოროტ-განმზრახველთ ზედამხედველის მოკვლა სდომებიათ.

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ ებრაელების ახალი სკოლის კურთხევა, რომელიც უნდა მომხდარიყო კვირას, 20 ოქტომბერს, არ მოხერხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დაკლულ ფრინველებზე სკოლის სასარგებლოდ დადებული გადასახადი არ მოეწონა ბევრს ებრაელს და უარი განაცხადეს ამ გადასახადზე, ასე რომ სკოლას ერთი ფრიად შემოსავლიანი წყარო მოაკლდა. დიდი კამათის შემდეგ სასკოლო კომიტეტმა იკისრა თვითონ აღმოუჩინოს სკოლას იმის მაგიერი სხვა რამ წყარო. სწორედ მადლობის ღირსია, სასკოლო კომიტეტი, რომ ასეთი მძიმე ტვირთი იკისრა, თორემ ამ ერთად-ერთს ებრაელთა სკოლას დაარსებისათანავე დახურვა მოელოდა. სკოლის კურთხევის დღე ჯერ არაა დანიშნული.

◆ კვირას, 27 ოქტომბერს, ქუთაისის საქალაქო თეატრში, ვლ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობითა და მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნება მოლიერის ხუთ-მოქმედებიანი კომედია „ტარტიუფი“, ანუ მუზმუზელა. სხვათა შორის, ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ვასილ აბაშიძე და ტასო აბაშიძე.

◆ შაბათს, 2 ნოემბერს, ქუთაისის თეატრში გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანდრეევსკისა, ტოიმანი და ბ. ჩემეზოვი.

◆ ქუთაისში სახალხო წარმოდგენების მოთავენი, მათდა სასახელოდ, ენერგიულად შესდგომიან ამ სიმპატიურ საქმეს და მომავალ კვირაში კიდევ აპირებენ იაფ-ფასიან წარმოდგენის გამართვას. წარმოსადგენად ამზადებენ დავ. კლდიაშვილის სცენებს „ირინეს ბედნიერებას“. წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს მსახიობი ვ. ბალანჩივაძე, რომელიც მშვენივრად ასრულებს ირინეს მამის როლს. ძლიერ კარგი იქმნება, რომ საქმის მოთავენი უფრო ადრე დაიწყებდნენ წარმოდგენას, თორემ ნაშუაღამევის პირველ საათამდის ხალხისთვის ძლიერ ძნელია თეატრში დარჩენა, რადგან მეორე დილას ხუთ საათზე უნდა ადგნენ.

◆ 24 ოქტომბერს ქუთაისის ბულვარში პოლიციამ შეიპყრო ლეჩხუმის მაზრის მცხოვრები მიზანა ასათიანი, რომელიც ყალბ ფულს ასაღებდა თურმე. პოლიციას გაგებული ჰქონია ეს და თვალ-ყურს ადევნებდა. შეპყრობის დროს ასათიანს ყალბი ფულები აღმოსჩენია.

◆ ქალაქის საბჭოს მომავალი სხდომა დანიშნულია 28 ოქტომბრისათვის.

◆ გუშინ დაბეჭდილი გვქონდა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტის 23 ოქტომბრის სხდომის შესახებ. დღეს გვინდა დამატებითი ცნობებით შევავსოთ გუშინდელი ამბავი.

კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ სმაგინს მხოლოდ ოფიციალური ცნობები წარმოუდგენია, რადგან არავითარი სხვა ცნობები მეურნეობის შესახებ ხელთ არა გვაქვსო. სახაზინო პალატის მმართველს ბ-ნ გრიგორაშს გამოუცხადებია, რომ კომიტეტი იმისათვის-კი არ არის შემდგარი, ოფიციალური ცნობები არჩიოსო; პირ-იქით, უნდა გამოიკვლიოს მეურნეობის აუცილებელი საჭიროებანი და მით ხელი შეუწყოს ადგილობრივ სამეურნეო მრეწველობასაო. ნ. პ. პრინცმა აღნიშნა უნუგეშო მდგომარეობა განსაკუთრებით დროებით ვალდებულ გლეხმეურნისა, რომელმაც არ იცის, შერჩება თუ არა ის ადგილი, რომელსაც იგი ამუშავებს და ამ მდგომარეობაში რა უკეთესობა უნდა შეიტანოს თავის მრეწველობაშიო. აგრონომმა სტაროსელსკიმ გამოუცხადა კომიტეტს, რომ საჭირო ცნობები ბლომად შეიძლება შეიკრიბოს იმათგან, რომელთაც სამეურნეო მრეწველობის ვითარება კარგად იციან და, თუ ეს ცნობები იმდენად დანამდვილებით მართალი არ იქმნება, როგორც სასურველია, ამის ბრალი არავის არც მოეთხოვება, რადგან ჩვენში ერობა არ არის შემოღებული, რომ შიდა რუსეთის მაგვარად მეურნეობის შესახებ ცნობები აქაც დანამდვილებით შეიკრიბებოდესო.

ზოგმა ისიც გამოაცხადა, რომ ამისთანა ცნობების შესაკრებად მაზრის წინამძღოლებმა ადგილობრივ მიიწვიონ მცოდნე კაცები და ამათგან გამოიკვლიოს საჭიროებაო. კომიტეტმაც მოიწონა ეს აზრი და დაავალა მაზრის უფროსებს.

კომიტეტის წევრებმა შრომათა განაწილება იკისრეს და ცალ-ცალკე კომისიებად იმუშავებენ. გუბერნატორმა ისიც გამოაცხადა, რომ იგი კომიტეტის არა წევრისაგანაც მიიღებს სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ ყოველსავე შრომას.

◆ ქუთაისის რკინის გზის სადგურზე ქალაქის გამგეობის იასაულისათვის ვიღაცას გაუჭრია შალვრის ჯიბე და ამოუღია იქიდან—როგორც თვითონ იასაული ამბობს—თუთხმეტი თუმანი, რომლითაც მას უნდა დაეხსნა ქალაქის საავადმყოფოსათვის გამოწერილი თეთრეული. რადგან იასაულმა ქურდი ვერ აღმოაჩინა, ამისათვის გამგეობამ დააკისრა მას გადასახდელად დაკარგული ფული და სამსახურიდანაც დაითხოვა.

# წერილი დიდ-ჯიხაიშიდან

წლევანდელი მოსავალი.—სოფლის ჩარჩი ვაჭრები.—დიდი-ჯიხაიშის ბიბლიოთეკა.—ეწერის საზოგადოებაში ბიბლიოთეკის უქონლობა.

ყოველივე იმედი სოფლის კაცისა სიმინდისა და ღვინის მოსავალზედ არის დამყარებული. შარშანდელმა სიმინდის მოუსავლობამ ხალხი ისე დასცა, რომ წელსაც სიმინდის მოსავალი შარშანდელზედ უფრო ცუდი იყო, გლეხს ბევრი, აიკიდებდა გუდა ნაბადს და გასწევდა სოფლიდან ცოლ-შვილისათვის ლუკმა პურის მოსაპოვებლად. მართალია, წლევანდელი მოსავალი სიმინდისა კარგა დაფარავს შარშანდელ მოუსავლობას, მაგრამ არიან სოფლად ისეთნიც, რომელთაც შარშან ნასესხები სიმინდი წელს ერთი ორად უნდა გადაიხადონ და წლევანდელი სარჩო კიდევ არ ჰყოფნით. ერთის სიტყვით, საწყალის გლეხის ბედ-იღბალი სასწორზედ ჰკიდია. თუ ბუნებამ კარგი ამინდები დაიჭირა, ხომ კარგი, თუ არა და, „ტეტიას მოთქმისა“ არ იყოს, ხშირად ბევრს ეცრემლება თვალები. სამი-წელიწადია, ვენახების ახლად გაშენება დაიწყეს; იმედი ჰქონდათ მოსავლისა, მაგრამ ბუნებას თურმე სულ-სხვა მოჰქონდა. წლევანდელმა გაზაფხულის ყინვებმა ისე დახრუკა ეს ახალშენები, რომ ზოგგან ბარდიც არ შეარჩინა და ბევრს უნაყოფოდ ჩაუარა ნაშრომმა.. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ საბალახო ადგილები სოფლად თან-და-თან მცირდება, ამის გამო ოთხ-ფეხ ცხოველების მოშენება სოფლად თან-და-თან-კლებულობს, ხოლო მოთხოვნილებანი სოფლის კაცს თან-და-თან უორკეცდება.

რთველი დაიწყეს... სოფლის ჩარჩ-ვაჭრებიც ამოძრავდნენ. ქუჩებში საწყრილმანო კარვების ასაგებად მასალების მზადება დაიწყეს. რა ვუყოთ, მოაგონდათ სიმინდის ტაროზედ შარშანდელი ვაჭრობის გემო, მაგრამ, ალბად, იმათი უბედობაა, ამ გვარი ვაჭრობა მთავრობამ წელს სასტიკად აღკრძალა. დიდიან დაღონებულნი, თუმცა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამ გვარ ვაჭრობას ისინი მაინც არ მოიშლიან...

დიდი-ჯიხაიშის სამკითხველოს საქმეები ჯერ-ჯერობით კარგად მიდის, თუმცა ბიბლიოთეკისათვის საკუთარი შენობის უქონლობა ძალიან გვაწუხებს. აქაურ ინტელიგენციის სიტყვით, აქ სახალხო სახლი უნდა აშენდეს, სადაც სამკითხველო და საკვირაო სკოლაც მოთავსდებაო. ამ გვარ იმედებს ჩვენი ინტელიგენცია დიდი-ხანია გვპირდება.

აქაური ორ-კლასიანი სასწავლებელი ბავშვებს ძლივს იტევს და საქალებო სკოლაში მეორე მასწავლებელი ქალი უკვე მოწვეულია.

თუმცა ეწერის საზოგადოება სწავლა-განათლებით ამ ბოლო დროს წინ მიდის (აქ არსებობს სამი სკოლა: ერთი სამრევლო და ორი სამინისტრო, ორივე ორ-ორ კლასიანად გადაკეთებული, სადაც სამასამდე ბავშვი სწავლობს), შესდგება 1000-მდე კომლი მცხოვრებისაგან და წერა-კითხვის მცოდნესაც ხშირათ შეხვდებით, მაგრამ ეს საზოგადოება სამკითხველო-ბიბლიოთეკას ჯერ მოკლებულია. იმედია, აქაური შეგნებული პირნი ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ.

ბარნაბა გ—ძანია.

# წერილი თელავიდან

დაწვრილებითი ამბავი ფოსტის გაძარცვის შესახებ.

19 ოქტომბერს ტფილისიდან თელავში გამოგზავნილი ფოსტა გამოსულა უჯარმიდამ შუადღის 12 საათზე. ფოსტა მოჰქონდა თელავის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონს ჯეხაიანცს, აცილებდა უჯარმის უფროსი „სტრაჟნიკი“ გერმიშევი. ოთხი ვერსი რომ გამოუვლიათ, ამოსავალში, ბოგირ ქვეშიდამ, დაუყვირიათ დადექითო და იქვე ჩასაფრებულთ ბერდანკებიდამ უსროლიათ უპირველეს ყოვლისა ჩაფრისათვის, რომელსაც ორი ტყვია მოჰხვედრია, ერთი უკან ბეჭში, მეორე თავში, ჩაფარი მაშინვე გადავარდნილა და უსულოდ დაცემულა ძირს. უჩადებს ახლა ფოსტალიონისთვის უსროლიათ, მაგრამ ტყვია პალტოს დილს მოჰხვედრია, შეჭეჭყია იგი და გავარდნილა გვერდზე ისე, რომ მარტო ხორცი აჰრუჭდვია; ტყვიას ისიც დაბლა გადაუგდია მოკლულის ჩაფარის შორი ახლო. კუჩერიკი გადამხტარა ეტლიდან, შევარდნილა ტყეში და გაქცეულა უჯარმაში შესატყობინებლად. თოფის სროლაში ცხენები დაძრულან მაგრამ წინ დახვედრიან ორნი და შეუყენებიათ. რაკი ჩაფარი და ფოსტალიონი მოუშორებიათ, ბოროტ-მოქმედნი ფოსტის გაცარცვას შესდგომიან: ხანჯლით გადაუჭრიათ ტყავი, ამოუღიათ ფულის აბგა და მანეთები, დაუხევიათ აბგების ტყავი და მანეთების შესახვევი. ენახად რა იყო და არ-კი წაუღიათ, კორესპონდენციები გადაუფანტნათ, პაკეტები და წერილები ხელით ეფხრიწნათ და ისე ექებნათ ფული, ამოუღიათ რამდენიც მოუსწრიათ, 500 თუმნამდე, და წასულიყვნენ.

ყველა ამის მოწმე ყოფილა ერთი ყავლ გათავებული ჯარის-კაცი, რომელიც თელავის მაზრის სამხედრო უფროსთან მიდიოდა გამოსაცხადებლად; იგი მოკლე გზით მიდიოდა თურმე ტყეტყე და როდესაც პირველად უსროლიათ ფოსტისთვის, იმას დაუნახავს, მაგრამ რას გიზამდი უიარაღო კაცით, ამოეფარე ხეს და იქიდამ უყურებდიო. ფოსტალიონი რომ კონს მოსულა

და ამდგარა, უაზადებს უკვე გაცარცვა მოესწროთ და მიდენილან; ამ დროს ჯარის-კაციც გამოსულა და სხვა მგზავრებიც შემოსწრებიან. ფოსტა-ლიონს ორჯელ უსროლია; იქ მყოფთათვისაც ეთქვა, წამოდით, გამოვეკიდოთო, მაგრამ უიარა-ღონი რას იზამდნენ, მოკლული ჩაფრის ბერ-დანკაც უაზადებს წაეღოთ, და ისევ გაცარცულ-გაფანტულ ფოსტას მიჰპატრონებოდნენ. ამასობაში უჯარმაშიაც გაეგოთ და მოსულიყვნენ სა-დგურის ზედამხედველი და ერთი ჩაფარი. გაგ-ლილ მგზავრებს კიდევ გომბორში შეეტყობინე-ბინათ იქაურ ფოსტის უფროსისათვის, რომელიც ჩაფრით მაშინათვე მისულიყო. შეეკრიფათ გაფან-ტული ფოსტა, გადმოეტანათ გომბორზე, მხო-ლოდ ჩაფრისათვის ყარაულები დაეყენებინათ და შეეტყობინებინათ ტფილისის და თელავის პო-ლიციისათვის.

გაცარცვის წინ იმ ადგილზე გამოევლო თე-ლავში მომავალ დილიჟანებს, რომელშიაც, სხვათა შორის, ყოფილა ერთი თელაველი თავადიშვილი და თუში თავადს დაენახა სწორედ იმ ადგილზე ოთხი შეიარაღებული თათარი ცხენებით და თუ-შისთვის ეთქვა, ალბად, ესენი მეცხვარეები არიან და ახლოს ცხვარს აძოვებენო; მაგრამ თუშს ეპა-სუხნა, მაგათ მეცხვარეებისა არაფერი სცხიათ, უაზადები იქნებიანო. მართლაც პატარა მანძილი რომ გაევლოთ, დილიჟანი გაჰფუჩებოდათ და დაეყენებინათ და უკან მომავალ მგზავრს შეეტ-ყობინებინა, რომ ამა და ამ ადგილას ასეთი უბედურება მოხდაო.

**დ—შვილი.**

## უცხოეთის წვრილი ამბები

**ცხოველების მიხვედრა.** არა თუ მეცნიერებმა, კერძოთ ყველამ იცის, რომ ცხოველებს მიხვედრის ნიჭი არ აკლიათ. ძაღლი, კატა, ცხენი, სპილო, ფრინველი ყველა ესენი ისეთი ცხოველებია, რომ ზოგნი მათგანი გასაკვირველ ძალას იჩენენ ტვინი-სას. მაგრამ რაღა ითქმის ლოკოკინაზე? თურმე არც ეს პატარა არსება ყოფილა ნიჭს მოკლებული.— ამას ამტკიცებს ერთი შვეიცარიელი, რომელიც ბლომად აშენებს თურმე საჭმელ ლოკოკინებსა— 50 ათასზე ნაკლები არასოდეს არა ჰყავს და კარგ ამბავსაც მოგვითხრობს თავის დაკვირვებიდან.

ლოკოკინებმა გაპარვა იციან და ამის წინააღმდეგ ნახევარ არშინის სიმაღლეზე ფიცრული შემოუღო-ბია იმ ადგილს, სადაც ლოკოკინები იყო, მაგრამ პატრონს შეუნიშნავს, რომ ლოკოკინები მაინც მიი-პარებიან. ამის შემდეგ პატრონს ფიცრულის ზემოდ წვრილ-წვრილი წვეტიანი ლუსმები ხშირად დაუკ-რავს. პირველ ხანებში ლოკოკინები ავიდოდნენ ზევით თუ არა, ლუსმები შეეჩხუტებოდათ და უკან ბრუნდებოდნენ, მაგრამ პატრონი მალე დარწმუნე-ბულა, რომ ამ დაბრკოლების წინააღმდეგ ლოკო-კინებმა კიდევ ხერხი მოიგონეს და თავისუფლად გარბოდნენ შემოღობილ ადგილიდან. ერთხელ პა-ტრონი სწორედ იმ დროს წაადგა თავს ლოკოკი-ნებს, როცა ისინი შეღობილს გადაღმა გადადიოდ-ნენ და, აი, რა აღმოაჩინა. შემოღობილიდან რომ გაქცეულიყვნენ, ლოკოკინებს ჯერ უთუოდ ამხანა-გობა უნდა შეედგინათ; მერე რამდენიმე ლოკოკინა გამწკრივებულიყო მიწიდან იმ ადგილამდე, სადაც წვეტიანი ლუსმები იწყება და გამაგრებულიყვნენ თავ-თავიანთ ადგილას ერთი მეორის ზურგზე; მერე ლოკოკინები კიბე-კიბე ამოდიოდნენ და ამათ ზურ-გზე გადადიოდნენ იმ ადგილამდე, სადაც ლურსმები იწყებოდა; აქ-კი კედლის მეორე მხარეს გადაცოც-დებოდა ხოლმე ისე, რომ ლუსმებს სრულებით არ ეხებოდა. რამდენსამე ჯგუფად დაყოფილიყვნენ ლო-კოკინები და ამ გვარად იწყეს თურმე შემოღობი-ლიდან გაპარვა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**25 ოქტომბერი**

**პარიჟი.** საბიუჯეტო კომისიამ განიხილა შაქრის საქმე.

**ვილემსტადტი.** ვენეცუელას მთავრობას ტუუ-ილად გაუვრცელებია ხმა მეამბოხეებზე გამარ-ჯვებისა. მეამბოხენი უკან დაიწიეს და მხოლოდ ეხლა მისდევს მათ მთავრობის ჯარი.

**ვიატკა.** სლობოდსკის სამაზრო ერობამ არ მიუშვა კრებაში მონაწილეობის მისაღებად ისინი, რომელზედაც დარჩენილია ხარჯები.

**ვარშავა.** პოლონელთა მწერალი-ქალი ორ-ჟეშკო, როგორც ამბობენ, ავად გამხდარა.

**ოდესა.** ელისავეტგრადიდან 12 ვერსტზე ბობრინეციდან მომავალ ფოსტას დაეცნენ. ფოს-ტალიონი და მეეტლე დასჭრეს. წაიღეს 12 ათასი მანეთი. მძარცველები ვერ უპოვნიათ.

**იალტა.** ფინანსთა მინისტრი მოვიდა.

**იოჰანესბურგი.** ტრანსვაალში მოგზაურო-ბიდან მილნერი დაბრუნდა და გამოაცხადა, რომ მდგომარეობა საკმაოდ კარგიაო. არც ერთი დასი ინგლისელების წინააღმდეგ უკმაყოფილებას არ აცხადებს.

**პეტერბურგი.** ლუდის მექარხნეთა კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ლუდით ვაჭრობა თავისუფალი იყოს და ის ლუდი, რომელშიაც 4% მეტი ალკოჰოლი არ არის, მაგარ სასმელად ნუ ჩაითვლებაო.

**26 ოქტომბერი**

**კონსტანტინეპოლი.** მეწამულ ზღვაში მდგომმა ოსმალეთის ესკადრამ ვერ შესძლო ზღვის უაზადების უწესოების მოსპობა. ზღვათა სამინისტროს ებრძანა მოამზადოს და 8 სამხე-დრო გემი გაჰგზავნოს მეწამულ ზღვაში.

**სოფია** „პეტერბურგ. ვედომოსტ.“ კორრე-სპონდენტი იურკევიჩი, რომელიც ოსმალებისაგან ტყვედ წაყვანილი ეგონათ, მეამბოხეთა ბანაკში არის, ბისტრიცაში.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 23 ოქტომბერს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | — |
| ბერლინზე 100 მარკაში | — |
| პარიზზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,25 |
| პარიზზე „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 97⅛ გაყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | 99¼ მყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 „ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა | 94½ „ |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 477½ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 359 „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 289 „ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | 89¼ „ |
| 4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — |
| ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 201 „ |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).


# განცხადებანი

კვირას, 20 ოქტომბერს, **დურგალთა ამხანაგობის კრება** არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ კრება მეორედ დაინიშნა კვირას, 27 ოქტომბრისათვის.

**განსახილველი საგნები**

1) გამგეობისა და რევიზიის შესახებ. 2) ახალ გამგეობას უნდა ჩაბარდეს ძველის გამგეობისაგან ამხანაგობის ქონება; ახლად დაფასებული უნდა იქმნეს. 3) არჩევა ახალის წევრებისა. 4) 1899 წლის, 28 მარტს მომხდარმა შეერთებულმა კრებამ ხელოსნებისამ გადასწყვიტა მოსთხოვოს ყველა იმ წევრს, ვიზედაც ირიცხება საწევრო ფული წლის პაის შესავსებლად, ფულის წარმოსადგენად უკანასკნელი ვადა დაედვა პირველ 1899 წ. მკათათვემდის. 5) მოგმართავთ ამიტომ, მოწყალეო ხელმწიფევ, და უმორჩილესად გთხოვთ წარმოადგინოთ ზემო აღნიშნული პაის ფული, რაც კი ირიცხება თქვენზე, ესე იგი 1902 წლამდის შეიძლება შემოტანა. ვინც არ შემოიტანს, ის, წესდების მე-11 და 12 მუხლის ძალით, გამორიცხული იქმნება. 6) ვსთხოვ ტ. დ. ამხანაგობას, ვისაც რა კვიტანცია აქვს, ნომრები, თავის სახელი, გვარი, ადრესი გვაცნობოს. მახაილოვის ქუჩა, № 156, სახლი დავიდოვისა.

გამგეობის მმართველი გიორგი სტეფანეს ძე **მიგირტუმოვი.**

(2—2)

სხვა-და-სხვა ყვავილის

**საუკეთესო**

**ო-დე-კოლონი**

№ 4711

რეინის თაიგულები!

უმჯობესი ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისათვის

**ყოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.**

(მც. 3.—2)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—36)




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდონტინი“** მ. ვ. ლებედევისა.

ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

ისყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.

(ნ. 25—20).

**საჭიროა თავისუფალი**

**მიწის ნაჭერი**

ზომით 2000—2500 ოთხ-კუთხი საჟენი. იმან, ვისაც ჰსურს გაჰყიდოს მიწა, უნდა მიჰმართოს ექიმს სტეფანოვს. ამაღლების ქუჩა, კაპანაკოვის სახლი № 6. (6—6)

**ქ. ქუთაისში**

მიხეილის ქუჩაზე გოგიელოვის შეხობაში ტარიელ დიმიტრის ძე

**გაბუნიას და ამხანაგობას**

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელები ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (15—5)

**ზ ი ს**

**ნახშირის საწყობი**

**იაგორ მამინაიშვილისა**

(საკუთარი ტყიდან)

**გერის მოედანზე, ყაფანთან**

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).

ტელეფონი № 754 (წ.).

**ცინკოგრაფია**

**წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

**ახალი სახურავი,**

რომელზედაც პატენტია აღებული

1901 წლის ... ბათუმში

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

**ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა**

ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისთანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

**ამხანაგობის წარმომადგენელნი:**

ტფილისში **გ. მულიარსკი** (ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჭილაძე** (ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(50—48)


Дозв. ценз. Тифлисъ, 26 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).